

ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის
N55 ბინაზე, მოქალაქე იზოლდა კაშიასათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N55 ბინაში მცხოვრები მოქალაქე იზოლდა კაშიას წარმომადგენლის კობა კაშიას განცხადება /2013 წლის 20.03 Nკ-3425/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N55 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე იზოლდა კაშიას სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N55 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე იზოლდა კაშიას.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N55 ბინაზე /საერთო ფართობი 55,61 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 28,52 კვ.მ, დამხმარე ფართობი 17,97 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 9,12 კვ.მ./ მოქალაქე იზოლდა კაშიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი